კლდე

დამოუკიდებელი ნაციონალური
პოლიტიკის ორგანო.

კვირა, ოქტომბრის 27
1918 წელი

№ 7.

ფასი 70 კაპ.

ყოველ-კვირეული
გაზეთი „კლდე“ გამოცემა
დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის
მთავარი კომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქციის
გამოდის გრიგოლ ვეშაპელის რედაქციით

გაზეთის ფასი 1918 წლის დამლევამდე 10 მანათი, ცალკე ნომერი 70 კაპ.
განცხადებათა ფასი მორიგებით.

რედაქციის ადრესი: თბილისი იზმაილოვის ქუჩა, № 27, ს. № 3. ტელეფ. № 22.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 11 საათიდან 2 საათამდე.
კონტორაში (გაბაანთ შესახვევი № 3, შკოლის შესავალი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი.

გ. ვეშაპელი ომი სომხეთან!
შ. ქარუმიძე. სამშობლოს დაცვა და ჩვენი პარტია III.
დ. კახელი პროკრუსტის რეფორმა (მიწის მიმღებ კომისიების მოღვაწეობა).
ნ. მაღალაშვილი ოსმალეთთან შეთანხმება 1914 წელს.
ბ. გამსახურდია საქართველოს ეკონომიური პროგრამა.
ჯ. იაშვილი საერობო არჩევნები ზემო იმერეთში.
ჯ. იორდანიშვილი რუსული ავადმყოფობა და ქართველი სტუდენტობა.
A. Дirr გერმანული უნივერსიტეტები.
ფელეტონი: სოციალისტური რესპუბლიკა თავი VII.

მეურნეობის კრიზისი: გიორგი ბაგრატიონის მეურნეობა.
როგორ ყიდიან მიწას იმერეთში.
საქართველოსა და გერმანიის ხელშეკრულება ჭიათურის შავი ქვის შესახებ.

რუქა საქართველოს ისტორიულ საზღვრებისა.

უკანასკნელი ცნობები:

სომხის ჯარმა ბორჩალოში საომარი მოქმედება დაიწყო: არიან მოკლულნი და დაჭრილნი და დატყვევებულნი სომხები.

კაჩაზნუნის მთავრობამ სომხეთში მობილიზაცია გამოაცხადა.

საქართველოს მთავრობამ ბონების მიცემა შეუწყვიტა სომხეთს.

ბორჩალოს ფრონტზე თფილისიდან გაემგზავრა სომხეთა ეროვნულ საბჭოს დელეგაცია.

კავკასიის რესპუბლიკათა საერთაშორისო თათბირი აღარ შესდგება.

გერმანიის რაიხსტაგში კანცლერმა სიტყვა წარმოსთქვა, საიდანაც სჩანს, რომ ზავი არ ჩამოვარდება და გერმანია განაგრძობს თავის დაცვის ომს სახელმწიფო საზღვრებთან.

ომი სომხეთან!

ინგლისი შავი ზღვისკენ მოილტვის. გერმანელი ჯარები სამშობლოს საზღვრებისაკენ მიეშურებიან. ალექსეევ დენიკინის ჯარი გვემუქრება. სომხებმა სამხრეთ საქართველოს ბორჩალოში, ომი დაგვიწყეს. საქართველოს კი ჯერ მოწყობილი ჯარი არა ჰყავს...—აი ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა, რომელიც ბათუმის მწარე დღეებს გვაგონებს..

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და მეგობარ გერმანიის ჯარების ჩამოსვლის შემდეგ უკვე მეხუთე თვე გავიდა და საქართველოს მდგომარეობა ჯერ კიდევ არ გამტკიცებულა, არც საზღვარს გარედ—საჭირო საერთაშორისო კავშირის მოპოვებით და არც საზღვარს შინ—საჭირო პოლიტიკით და ჯარის მოწყობით.

საქართველოს ბრძანებელმა, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და სამინისტრომ ამ ხუთი თვის განმავლობაში ისეთი საგარეო პოლიტიკა აწარმოვა, რომ დღეს ჩვენ არა გვაქვს პოლიტიკური და სამხედრო კავშირი არც ერთ სახელმწიფოსთან და ამის მაგიერ საქართველოს გადამტერებული ჰყავს ყველა მეზობელი ერები.

საშინაო პოლიტიკა სოციალ-დემოკრატიისა იყო და არის დამყარებული ნახევრად-ბოლშევიკურ კანონმდებლობასა და წოდებრივ ბრძოლის გაღვივებაზე, ამიტომაც დღეს ქართული ხაზინა და ქართული ყაზარმები ცარიელია და სომხების შემოსევის მოლოდინში თბილისი დღეს ალეთს გაწამაწიაში არის.

საგარეო პოლიტიკა საქართველოსი ამ ხუთი თვის განმავლობაში იყო მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული პარტიის დიპლომატია. ამ დიპლომატიის წყალობით არის, რომ საქართველოს დელეგაციამ, რამდენიმე თვეა ბერლინში მყოფმა, აქამდის ვერ მოასწრო შეთანხმება და გერმანიას ისე, რომ გერმანელ ჯარის დახმარება ჩვენთვის გაჭირვების დროს სავალდებულო ყოფილიყო ჩვენი მეგობარი სახელმწიფოსათვის და ამის ტეხნიკურ მოგვარებაზედაც დროზე ეზრუნათ ბერლინში.

სოციალ-დემოკრატიული საგარეო პოლიტიკა საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოებისა და ერების მიმართ კი ისეთი იყო და არის, რომ დღეს აზერბეიჯანი და მთიულეთი არა ნაკლებ გადამტერებული გვყავს, ვიდრე სომხეთი, ან ჩრდილოეთ-კავკასიის ყაზახ-რუსობა.

საქართველოს უნდა თავიდანვე დაეფასებია, თუ რა სასიკვდილო მტერია საქართველოსი დედა-ქალაქ თფილისის მაძიებელი სომხობა და რუსობა და თავიდანვე მოერიგებოდა საქართველოს ისტორიულ მეზობლებს: ჩაჩნეთ—დაღესტნის მთიელებს და აზერბეიჯანის თათრებს; მაშინ გაჭირვების დროს ჩვენი ზურგი მაინც იქნებოდა უზრუნველყოფილი.

არ ვიცით რა არის მთავარი მოტივი ქართულ სოციალ-დემოკრატიის საგარეო პოლიტიკაში: რუსეთის რევოლიუცია, თუ კულტურა ან და რელიგიაც, მხოლოდ ის კი ცხადია, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია დემონსტრატიულად აღიზიანებს თავისი პოლიტიკით ჩვენს ისტორიულ მეზობლებს: მაჰმადიან მთიულებს და თათრებს და თუ ბორჩალოს თათრობა მეფე ერეკლეს დროს ქართული ჯარის ერთგული ნაწილი იყო, დღეს თათრობას ქართველი სოციალ-დემოკრატების კანონით ქართულ ჯარში შესვლა არა თუ მობილიზაციით, მოხალისეობითაც აკრძალული აქვთ!..

ქართველ სოციალ-დემოკრატებს არ უნდათ მიხვდნენ, თუ როგორ შეურიგებელია დამოუკიდებელ საქართველოსა და სომხების ინტერესი: სომხებს ოსმალეთი კავკასიისკენ სდევნის: კავკასიაში მოგროვილ სომხებს ცენტრი უნდა, და ასეთ ცენტრათ მათ უკვე გადაქციეს ჩვენი თფილისი; მთელი პოლიტიკა სომხებისა ახლა იმაში მდგომარეობს, რომ ერევანისა და თბილისის შუა მდებარე ახალ-ქალაქისა და ბორჩალოს მაზრები გაასომხონ და მერმე თბილისი პოლიტიკურადაც ხელში ჩაიგდონ: სომხების ბუნებრივი მოკავშირე არის ოსობა, რომელიც ასეთსავე პლანს აწარმოებს ჩრდილოეთიდან, და რუსობა, რომელსაც ყველაფერი ურჩევნია, ოღონდ კი არა თავისუფალი საქართველო; დღეს სომხებს ინგლისის სამხედრო მხარის დაჭერის იმედიც მიეცათ და პირდაპირ ომს გვიცხადებენ!

რა უნდა ვქნათ; ან უნდა შევურიგდეთ სომხების, ესე იგი ირაკლი წერეთლის პოლიტიკას და თბილისის დედა ქალაქობა სომხეთს გავუყოთ: მაშინ საქართველო და სომხეთი ერთი სახელმწიფო იქნება ერთი დედა ქალაქ თბილისით, და ჩვენი „ადგილობრივი“ პოლიტიკური ცენტრი ქუთაისში გვექნება, ან და შემოვიკრიფოთ რაც რომ სამხედრო ძალა გვაბადია, თუ არ გვყოფნის შევეკრათ კავშირით აზერბეიჯანს და მთიულეთს და ერთხელ და სამუდამოთ გავუქლიტოთ თავი სომხურ პოლიტიკას: გავსწმინდოთ ულმობელად ჩვენი დედა ქალაქი შემოხიზნულ სომხებისგან და შემოსეულ სომხურ ჯარებთან ერთად საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სომეხი კოლონისტებიც გოქჩის ტბისაკენ ჩავრეკოთ.

გრიგოლ ვეშაპელი.

სამშობლოს დაცვა და ჩვენი პარტია*)

როდესაც ოსმალეთი ომით წამოვიდა ჩვენსკენ და მეორე—ჩრდილოეთ აღმოსავლეთ-საზღვრებზე კი მათი სიმპატიები ამოძრავდნენ ჩვენ წინააღმდეგ და უკვე შემოიჭრენ მუქარით მოთარეშე მოწინავენი კახეთისა და მთის სოფლებში—ხევსურთა ლაშქარი აქეთ გაიგზავნა მაშინ და საქართველოს [illegible] არ უგრძვნია მტერი აქედამ, არ გაგვიგდია ძველად რომ იტყოდნენ „ლეკთა შემოსევა“. წამოსულ ქისტობას შატილიანებმა ჭკუა ასწავლეს, მუღანლოდამ შემოსეული თათრების ყაჩაღობა (არა ოფიციალურ ენაზე!) სეროდნელმა ხევსურებმა ლევანა გოგოჭურის მეთაურობით „შესამჩნევათ ასცრეს“. ბარისახოელ-დათვისელ მაწმოელნი გომბორს დაეშვნენ და შირაქ-ყარაიაზს სდარაჯობდნენ. არხოტიონნი-სამხედრო გზაზე ჩაჯდნენ რუსებისათვის კარის შესაკრავათ და მოღალატეთა სათოფათ—როგორც თვითონ ამბობენ ლექსათ.

ბოლშევიკებსაც ახსოვთ ხევსურები და არც ფილიპე მახარაძეს და საშა გეგეჭკორს ექნებათ სასიამოვნო მოსაგონათ მკვახე პასუხი აფშინა არაბულისა და მისი მ...

„ვაი უბედურ თავს, რათ არ ვიცოდი ვინც იყვენ, ხატი გამიწყრა, ალბათ, როგორ ვერ ვიცან „სამშობლოს მოღალატენი? არ მაპატიეს ხახმატის ასეთს მარცხს!“—იხრავს დღეს აფშინა და სწუხს, რომ მოღალატეთ არ გაუსწორდა ხევსურების „რჯულისამებრ“. დღეს ეს კუთხე ერთად ერთი მხარეა მთელ საქართველოში, სადაც ანარქიას, საწინააღმდეგო გამოსვლას არამც თუ ადგილი არა ჰქონია, არამედ ერთად ერთი კუთხეა, რომელმაც იფიქრა საქართველოზე, ეახლა ჩვენი მთავრობის თავმჯდომარეს და იტყვა მოქალაქობისა და ქვეშევრდომობისა დაუდო ეს ერთად ერთი კუთხეა, რომლის „ფრონტზე“ საქართველოს ჯარი არ გაუგზავნია და ეროვნულ საბჭოს „ხარჯთ-აღრიცხვა“ არ დაუმტკიცებია.

ნამდვილ, ჭეშმარიტს მამულიშვილურ სამსახურს ასეთი ლამაზი ხასიათი და სახე ჰქონია მუდამ. ხევსურები არავინ შეამჩნია ალბად იმიტომ, რომ წითელ დროშით არ ჩამოსულან. მათი დროშა—გულის ფიცარზე ნაწერი „სიკვდილი სამშობლოსთვის“ უხილავია, ჩვენდა სამწუხაროთ, ჩვენი ფართო მასსისათვის.

როგორც ჩამოვიდენ წყნარად და შეუმჩნევლად, ისე წავიდნენ „თავის ფრონტზე“, მაგრამ წავიდნენ ისე, რომ მადლობის კვალი დასტოვეს. ოფიცრობა, რომ იტყვის, ყულამდის მადლობელი იყო მათი, ახალგაზრდობას კი—ღრმა სიბერემდის გაჰყვება ტკბილი მოგონებანი ამ ხალხზე. რამდენი გმირი ჩვენი წარსულიდამ გააცოცხლეს ამ ხევსურებმა ახალგაზრდათა მეხსიერებაში თავის ლექსებ-ამბებით, რამდენი აღადგინეს მკვდრეთით და მოჰფინეს მუდმივობისა და უკვდავების შარავანდედით და რა ზომის სიხალისე მისცეს ეროვნული ტრადიციის უტეხი ხელშეუხებელი ფორმების შენახვით და გადმოცემით და როგორი ფოლადის კვერი დაჰკრეს თავის ღრმა, ხევსურული, რწმენით ამ ახალგაზრდათა რწმენას საქართველოს გამარჯვებაზე და „მტრის“ განდევნაზე.

„კურიოზებიც საკმაოთ დასტოვეს გუნებაზე მოსაყვანათ. ასე, მაგალითად, ვერ შევაჩვიეთ ავტომობილს და გრუზოვიკზე ჯდომას. პირველ ხანს ფეხით ძუნძულს არჩევდნენ ხოლმე ყაზარმიდან ნავთლუღამდე და უკან. სოღანლუღში გასულები ბოლშევიკებს მოლოდინში თხრილებში ვერ ჩავაწვინეთ კარგა ხანს. „ცოცხალ კაცს სამარეში როგორ ჩავწვებით, მტერს გულდაგულ უნდა ვკვეთოთ“. და როცა რამდენიმე საათის შემდეგ ჩამოლევა მოსწყინდათ, ქალარა კუდია არაბულმა გასძახა ახალგაზრდა ძამიას—ადექ ძამია, გაჰყევი მტერსა, თუ მოდის—მოვიდეს, ნუ კატობთ!!

ღამის ორ საათზე ყარსიდან დაბარგული მატარებელი სამხედრო ავეჯით მოსულიყო და ახალი ყარაული იყო საჭირო. ვის ვკადრებდით იმ დროს? გავაღვიძეთ და გავგზავნეთ თხუთმეტი ხევსური. უძახის, ახლოს მატარებელთან, ასე ერთ—ორ საჟენზე, არავინ მიუშვათო. ხევსურებს ორი საჟენი თავისებურად გაეგოთ და მთელი სადგური გაეწმინდათ აუარებელი „წამავალ“ და სადგურზე მოკალათებულ ხალხისაგან. რუსული არც ერთმა არ იცოდა, ვერაფერი გაეგოთ რუსებისაგან, მაგრამ ძალიან კარგათ კი გაეგებინებიათ, რომ აბარგვა იყო საჭირო. დიდი აყალმაყალი გადაგვხდა მაშინდელი კომიტეტებისაგან ამისათვის. ეს წარმავალი ფრონტის ბძანებლობის ხანა იყო. განგებ მომყავს ეს ამბები.

დაე, ვისაც როგორ უნდა ისე შეხედოს მას, ჩვენ კი ვიტყვით, რომ ეს არის ის თვისებანი, რომლიდანაც კარგი სამხედრო სკოლა შექმნის იმ ჯარს, ურომლისოდაც საქართველოს არსებობა არ შეუძლია. მამულიშვილური სიმტკიცე და ღირსეული მოქალაქეობა ყაზბეგმა გამოიჩინა ჩვენი შერცხვენის ხანაში იმას ცალკე ფურცელი უჭირავს. მან ღირსეულად გამოიდო თავი მამულისათვის.

პატივცემულნი და საყვარელი მოძღვარი ბართლომე ღუდუშაური, მახუცნი კობაიძე და ფიცხელაური, ძმანი თოფაძენი, და ახალგაზრდა ბადურ ყაზბეგი და სხვა გმირები ყაზბეგისა კარგი ნაცნობნი არიან ჩვენი პარტიისათვის და ისინიც კარგათ იცნობენ მას.

პირველ ორ წრეებში ჩვენ ხელი შეგვიბორკეს ობიექტიურმა პირობებმა და მსხვერპლი, რომლის მიტანაც შეგვეძლო სამშობლოს დაცვის სამსხვერპლოზე სავსებით ვერ ამოვწურეთ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ პირობები თანასწორად არ გვიწყობდნენ ხელს ჩვენ და სხვა პარტიებს.

მათ ხელში იყო სახელმწიფო აპარატი, ხაზინა და ფულება, ჩვენ კი გახლდით არა სოციალისტური პარტია და მაშასადამე თითქმის დევნილი ნამეტნავად იმ გაღრმავებულ სოციალისტურ ხანაში, გახლდით უფულება ახლადი სამხედრო ქონების მართვა-გამწესებაში და ხაზინა; ცარიელი. მათ მიმდევარს, წითელ რაზმელს და ან „სოტნელს“ მოელოდა კარგათ მოწყობა, ჯამაგირი და პატივი; ჩვენსას უპატრო, შუშებ ჩამტვრეული და ბნელი ყაზარმა, ნახევრად შიმშილი და ტუქსვა არა სოციალისტობისათვის.

ისინი იხმობდენ ფეროვან, კარპის გავლენის მქონე რევოლუციისათვის, ჩვენ ვეძახდით ყველასაგან მივიწყებულ, ინტერნაციონალიზმის ხანაში ფასს—ახდილ და პატივ—აყრილ სამშობლოს დასაცველად. რევოლიუცია გულისხმობდა მთავარ მოტივათ შინაურ მტერსაც და მის ჯარისკაცს თან მოჰქონდა საჭირო რევოლიუციონური შურისძიება.

მომენტი შინაური ბრძოლისა გადამეტებით სჭარბობდა და ამიტომ იყო, რომ ოსიაურის და ჭალის გმირები გარეშე მტერთან ბრძოლაში ვერ გამოდგენ. მაგრამ აქ სხვა პსიხოლოგიურს მომენტებს ვუახლოვდებით და ამაზე შემდეგ.

შ. ქარუმიძე

პროკრუსტის რეფორმა

(მიწის მიმღებ კომისიების მოღვაწეობიდან)

ბერძნების თქმულებით ძველ დროს საბერძნეთში ერთი უცნაური ყაჩაღი სახელად პროკრუსტი დათარეშობდა. გააშენა დიდ შარა გზაზე ბინა და იჭერდა გამვლელ გამომვლელ მგზავრებს.

დაჭერილს შეათრევდა თავის ქოხში და დააწვენდა საწოლზე. თუ კაცი უფრო გრძელი აღმოჩნდებოდა, ვიდრე საწოლი, მაშინ ფეხებს დააჭრიდა, თუ მოკლე—სჭიმავდა მას, ვიდრე საწოლის სიგრძესთან არ გაათანასწორებდა. ორივე შემთხვევაში საბრალო მსხვერპლნი, რასაკვირველია იხოცებოდნენ.

საქართველოს გზებზე ასეთნაირი ბინები მრავლად გააწყო ჩვენმა მიწათმოქმედების სამინისტრომ და პროკრუსტების როლში გამოიყვანა ეგრედ წოდებული „მიწების მიმღები კომისიები“, რომელნიც ისე შეუბრალებლად სჭრიან და სჭიმავენ ჩვენი მეურნე ხალხის მესაკუთრეობას, რომ ადვილი მოსალოდნელია ჩვენის ისედაც ღარიბ მეურნეობისაგან შთამომავლობას ნაცარტუტა-ღა შერჩეს. ამ ახლად მოვლინებულ პროკრუსტების მოღვაწეობა სოფლად იმდენად თავისებურია, მრავალ ფეროვანი და ორიგინალური თავის მეთოდებით ქართველ მეურნეთა წამებაში, რომ საჭიროა რამდენიმე ფოტოგრაფიულ სურათით აღვბეჭდოთ ამ საზღაპრო ადამიანების ღვაწლი ქვეყნის წინაშე.

აი ცოცხალი სცენა ქართლის ერთ „მიმღებ კომისიის“ კანცელარიაში. ოთახში ზის რამდენიმე დაბღვერილი ადამიანი, ერთი კოკარდიანი, დანარჩენი უკოკარდო. სახეებზე უწერიათ—ნეტა მალე გავათავოთ და სადილი ვჭამოთ.—სახოვეთ—გაისმ ს ბრძანებლობის ხმა კოკარდიან ადამიანისა. ოთახში შემოდის „ყოფილი“ კაცი—აზნაური. 18 დესეტინა ბაღის, სახნავის და პატარა ტყის მესაკუთრე.—კანონით თქვენ გერგებათ მარტო 7 დესეტინა. აირჩიეთ სადაც გნებავთ. დანარჩენი 11 დესეტინა სახელმწიფო ქონებად გადირიცხება—ხრინწიანის ხმით მიაძახა ფეოდალს უფროსმა რეფორმატორმა. დალოცვილებო, ეუბნება ფეოდალი.—მე ხომ ერთი არ ვარ. კიდევ და ძმა მყავს. ორივენი ოჯახის პატრონებია და სამს ოჯახს 7 დესეტინა რას გასწვდება. მასთან, მოგეხსენებათ, ბაღი მარტო ორი დესეტინაა, დანარჩენი კი ნახევრად უვარგისი მიწაა. გთხოვთ მთლად დაგვიტოვოთ ეს მამული.—შენმა ძმის ცოლმა იმერეთში მზითვად მამული ხომ აიღო, გაყიდა და შეჭამა. ვისი ბრალია?—წამოიძახა მეორე წევრმა კომისიისამ, ადგილობრივმა გლეხკაცმა. შენი და კი, მახსოვს, მამა შენმა გათხოვებისას ფულით გაისტუმრა. რაღა მამული ეკუთვნის? კომისიის წევრებმა კმაყოფილი სახეებით ერთმანეთს გადახედეს და უსიტყვოდ მიუსაჯეს: ჩამოეჭრას ფეოდალს 11 დესეტინა.

აი მეორე სცენა სხვა კუთხეში. აქ კომისიის ხალხი უფრო მხიარულია და დამყოლი. იბარებენ 100 დესეტინიან მამულს. შემამულე მრავალ რიცხვოვან ოჯახის პატრონია კომისია გულუხვად სწყვეტავს. მიეცეს თავთავისნორმა ყველა მის შვილებს. ჯერი მიდგა ქალიშვილზე. (სოციალისტურ მიწის კანონს ქალები დაავიწყდა!) მიეცეს ნორმა თუ არა? ქმარი მეგრელია და აქ არა ჰყავს. ამხანაგებო—სთქვა ერთმა წევრმა სოფლელმა, სამეგრელოში ეხლა არეულობაა. ქმარი აქ არა ჰყავს. მისი მამულიანობის ამბავი ჩვენ არ ვიცით. მივსცეთ ქალიშვილს სრული „ნადელი“ იმ პირობით, კი თუ მის ქმარს მამული აღმოაჩნდა სამეგრელოში, მაშინ მან უნდა დაუბრუნოს აქ მიცემული ნადელი ჩვენს „პუბლიკას“. მიეცეს—დაიძახეს სხვებმაც. ყველა კმაყოფილი არიან. ასე მარტივად და ადვილად ნახევარ საათში გაჰყვეს-გამოჰყვეს და გაბედნიერეს ექვსი ადამიანი და დიდის შრომით და ოფლით მოვლილი მდიდარი სამეურნეო ერთეული უეცრივ დაშალეს და „გაამდიდრეს“ ჩვენი რესპუბლიკა!

მაგრამ არიან კომისიები, ნაკლებ მხიარულნი, ორტოდოქსები და კანონიერების სასტიკი მცველები. ერთ ნორმაზე მეტს, რაგინდ დიდი ოჯახი ყოფილიყოს არ გაიმეტებენ. ეუბნებიან მათ—დანარჩენი წევრები ოჯახისა ხომ შიმშილით ამოსწყდებიან! რა ვუყოთ, კანონი ნებას არ გვაძლევს. ვისაც შიან, უბრალო მუშად გადიქცესო, აი როგორც ეს გლეხკაცი იქცევაო და მიუთითებენ იქვე მჯდომ სოფლელზე „პონიატოიზე“. მშვენიერი მამული რომ ინგრევა და ოხრდება ასეთ „რეფორმისაგანო“?—ეკითხებიან მსხვერპლნი ჩვენის დროისა. ასი წლის განმავლობაში კვლავ გაშენდებაო—უპასუხებენ პროკრუსტები.

---

*) იხილე „კლდე“ № 3 და 6

ეს ჯურის ხალხი ულმობელად ექცევა მეურნეებს. გამოჯვნის დროს აუღელვებლივ ვენახს მარანს მოაშორებენ, კარ მიდამოს სახლს და ხელსაც მაშინ დაადგებენ, თუ იგი ნორმაში არ ხვდება, შეუკრავენ გამოყოფილ მეურნეს გზებს და ხითხითებენ.

არიან რეფორმატორებიც მეტად მოყვარე ჩამოჭრილ სხვის ნაამაგარმამულების მოსავლებისა. იჭრება ბაღი-ხილსა კრეფავენ, იჭრება ვენახი—ყურძენს სწურავენ. და ამ კრეფვა-წურვაში კაი დროს თვითონ ატარებენ და რამდენად ასიამოვნებენ სახელმწიფოსაც, ამას მომავალი ანგარიშები კომისიებისა დაგვანახვებენ. ასეთი საზღაპრო ხალხი დასჯირნობს დღეს უპატრონო ქვეყანაში პროკრუსტულად და თავხედურად უჭრის თავ-ფეხს ჩვენს წვრილ და საშუალო მეურნეობას, რომელმაც ძლივ-ძლივობით ამ ოცი წლის განმავლობაში საქართველოში ფეხი მოიმაგრა და უმზადებდა მკვიდრ ნიადაგს მომავალ ინტენსიურ მეურნეობას. სოფლებში თქვენ ეხლა ერთ საზარელ სურათის მნახველი იქნებით: გავერანებული ბაღები, ვენახი მიტოვებული, ცარიელი სახლები მშრომელ მეურნე ინტელიგენციისა. ზოგი ამ წუთის სოფელს გამოასალმეს ავაზაკებმა, ზოგი გამოექცა ანარქიას და შეუგნებელ ხალხის მტრობას, ბევრმა კი პროკრუსტების თარეშის გამო ხელი აიღო მეურნეობაზე და ქალაქის ქართველთა პროლეტარიატში გაითქვიფა. საზღაპრო ხანას განიცდის თავისუფალი საქართველო. და ვაი თუ პროკრუსტულმა რეფორმამ მართლაც ზღაპრად გადააქციოს ქვეყნის თავისუფლება!

დ. კახელი

ოსმალეთთან შეთანხმება 1914 წელს.

(„საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ ისტორიიდან) *)

რადგან ოსმალეთის მთავრობასთან ლეო კერესელიძის წინასწარ მოლაპარაკებამ სასურველი მიმართულება მიიღო, ჩვენმა კომიტეტმა გადასწყვიტა სტამბოლს ჩასვლა. სტამბოლში გავიგეთ, რომ ჩვენ დელეგატს ოსმალეთთან კონტრაქტი უკვე შემუშავებინა, მხოლოთ ოსმალეთის მთავრობა ხელს ჯერ არ აწერდა, რადგანაც რუსეთთან ჯერ ომი არ გამოეცხადებინა და გვპირდებოდა ხელის მოწერას მაშინვე, როგორც კი ომი ამ ორ სახელმწიფოს შორის დაიწყებოდა.

კომიტეტი ტრაპიზონში წავიდა, ომი გამოცხადდა, მაგრამ კონტრაქტზე ჯერ კიდევ ხელს არ აწერდნენ, მხოლოდ შემდეგში როდესაც ჩვენი კომიტეტის ერთი ნაწილი სტამბოლში მივიდა, გიორგი მაჩაბელის მონაწილეობით კონტრაქტში პატარა ცვლილება შეიტანეს და ხელიც მოაწერეს.

ეს კონტრაქტი შემდეგი შინაარსისაა:

I. ოსმალეთის მთავრობამ უნდა სცნოს საქართველოს დამოუკიდებლობა და უდავო უფლება მის ისტორიულ-რეალურ ტერიტორიაზე, რომელიც შეიცავს ქვემოთ ჩამოთვლილს საზღვრებს. შავ ზღვაზე დაკოვსკიდან პირდაპირის ხაზით აბიშირამდე და შემდეგ პირდაპირის ხაზით ელბრუსამდე, რომელიც შედის საქართველოს მფლობელობაში. ელბრუსიდან პირდაპირის ხაზით ბალთამდე და შემდგ ასაკოვამდე. ასაკოვიდან დაღესტნის საზღვრამდე და ჩამოვა სალავათამდე. სალავათიდან პირდაპირ გოქჩამდე, რომლის ჩრდილოეთის მხარე საქართველოსი იქნება. გოქჩიდან პირდაპირ ჩილდირამდე, ჩილდირიდან ბალვანამდე, ბალვანიდან არდანუჯამდე, რომელიც შედის საქართველოს საზღვარში. არდანუჯიდან ოსმალეთის და რუსეთის 1914 წლის საზღვრამდე იქ, სადაც ჩამოდის მდინარე ჭოროხი.

ქალაქები: განჯა, ალექსანდროპოლი, ერივანი, ყარსი და არდაგანი რჩებიან საქართველოს საზღვრების გარეთ.

II. ოსმალეთის მთავრობა არავითარ დაბრკოლებას არ აღმოუჩენს საქართველოს დროებით მთავრობის შედგენა საქართველოს ტერიტორიის პირველ რაიონში, რომელიც კი იქნება განთავისუფლებული რუსეთის ჯარისაგან. ოსმალეთის მთავრობა არ დაუშლის კომიტეტს, თუ კი კომიტეტი საჭიროთ სცნობს, დროებითი მთავრობის გამოცხადებას ჭოროხის მარცხენა მხარეზედ, თუმცა ეს მხარე რჩება ოსმალეთს.

III. გამოცხადდება თუ არა საქართველოს დამოუკიდებელი მთავრობა, ოსმალეთის მთავრობა სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას და იღებს მის წარმომადგენელს.

IV. ოსმალეთის მთავრობა არ ეძიებს უფლებას რუსეთის სახელმწიფოს წარმოებაზე ან ქონებაზე, რომელიც საქართველოში არის. ეს ქონება ითვლება საქართველოს სახელმწიფოს ქონებათ, როგორც ანაზღაური დანაკლისისა, რომელიც ჰქონდა ქართველ ერს ერთ საუკუნეზე მეტის მონობაში.

V. ოსმალეთის ჯარის ყოფნის დროს საქართველოს ტერიტორიაზე, ოსმალეთის მთავრობა არ აიღებს ქართველებისაგან არავითარ კონტრიბუციას და გადასახადს.

VI. ოსმალეთის მთავრობა არ დაუშლის რუს-ოსმალეთის ომის გათავებამდე ოსმალეთის ტერიტორიაზე იარაღის და სხვა სამხედრო მასალის გატარებას,—პირიქით დახმარებას აღმოუჩენს.

VII. ოსმალეთის მთავრობა არ დაუშლის საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს, რომ მან შეადგინოს ოსმალეთის ტერიტორიაზე ქართული ლეგიონი და ჰპირდება გაუადვილოს საქმე.

ლეგიონი შესდგება სამი კატეგორიის პირთაგან:

1. სამხედრო ტყვეები მოხვედრილნი ოსმალეთსა, გერმანიასა და ავსტრიაში.

2. ქართველი ემიგრანტები, რომელნიც გადავიდნენ ოსმალეთში ომის გამო.

3. ის პირები რომელნიც გადმოვლენ საქართველოდან სამხედრო პირნი თუ მოქალაქენი.

VIII. ყველა ოფიცრებს და ლეგიონის კომანდირსაც ნიშნავს კომიტეტი.

რაც შეეხება საქართველოს ჯარის ორგანიზაციას და მის საერთო მოქმედებას ოსმალეთის არმიასთან, ორთავ მხარეები ადგენენ შემდეგს:

1. შინაგანი საქმეები საქართველოს ლაშქრისა სულ მთლიანათ საქართველოს მთავრობის კომპეტენციაში შედის.

2. ისე როგორც ოფიცრებს და უმაღლეს კომანდის შედგენილებას, აგრეთვე სამხედრო შტაბს (l'etat major) და უფროს კომანდირს ნიშნავს და ითხოვს საქართველოს დროებითი მთავრობა. ლეგიონის კომანდირათ კომიტეტისაგან უნდა იყოს დანიშნული ისეთი პირი, რომელსაც ოსმალეთის მთავრობაც ენდობა.

3. თუ ვინიცობა ქართულ ლეგიონის კომანდირს დააკლდა ოფიცრები, მას აქვს უფლება მოსთხოვოს ოსმალეთის მთავრობას ოფიცრები კადრის შესავსებლად.

უმთავრესი კომანდა, ერთად მყოფ ოსმალურ ვდა ქართულ ლაშქრისა, ეკუთნის ოსმალეთის არმიის უფროს კომანდირს კავკასიის ფრონტზე. გენერალური შტაბი ოსმალეთის კავკასიის არმიისა აწესრიგებს ქართულ ლეგიონის მონაწილეობით სამხედრო ოპერაციებს, რათა დაცულ იქნას სტრატეგიული გეგმის მთლიანობა; ამავე დროს ლეგიონის უფლებაა იბრძოლოს მარტო საქართველოს საზღვრებთან, რათა შეძლება ჰქონდეს დროებითი მთავრობის გამოცხადებისა ხალხის აჯანყებისათვის.

ოსმალეთის მთავრობა ეხმარება საქართველოს ჯარს ყოველივე დარგში, რასაც კი ომიანობა გამოიწვევს: იარაღის გადმოტანაში და სხვა. ეხმარება თუ კი საჭიროთ დარჩება, ფულითაც, რომელიც შემდეგში ჩაითვლება საქართველოს სახელმწიფო ვალათ. *)

IX. როდესაც შერიგება მოხდება, ოსმალეთის მთავრობას დაუყონებლივ გაჰყავს თავისი ჯარი საქართველოს ტერიტორიიდან.

ოსმალეთის მთავრობას ექნება შემდეგი უფლებანი:

1. ომიანობის დროს რკინის გზით და სხვა გზებით ისარგებლებს.

2. რეკვიზიცია ჯარის საჭიროებისათვის, მხოლოდ ქართული მთავრობის საშუალებით.

3. იურისდიქცია, სადაც საჭიროა სამხედრო კანონები, მაგრამ საერთო იურისდიქცია სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაცია ეკუთვნის ქართულ დროებით მთავრობას.

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი ვალდებულებას იღებს:

1. დაეხმაროს ოსმალეთის ჯარს ყოველნაირათ რამდენათაც კი შესაძლოა.

2. გასწიოს პროპაგანდა ოსმალეთის სასარგებლოთ რუსეთის წინააღმდეგ.

3. ეცადოს, რომ ოსმალოს ჯარი მეგობრულად იყოს მიღებული საქართველოში.

4. გააცნოს ოსმალეთის ჯარს რუსეთის ფრონტის მდგომარეობა.

5. გაუადვილონ ოსმალოს ჯარს მისვლა-მოსვლა და გადაჯგუფება სამხედრო ოპერაციებისათვის.

ყველა პირობები, რომელნიც არიან და იქნებიან შეკრულნი საქართველოს განთავისუფლების კომიტეტთან, გადავა საქართველოს დროებით მთავრობაზე, როდესაც კი იგი ამგვარად გამოცხადდება.

რადგანაც კონტრაქტის ძალით საქართველოს ეძლეოდა უფლება თავისი დროებითი მთავრობის შედგენისა, რომელიც მეგობრულ განწყობილებაში იქნებოდა ოსმალეთის მთავრობასთან, ჩვენ იმედი გვქონდა, ამ შეთანხმებით ის აწიოკება და უბედურება, რომელიც მოსდევს გამარჯვებული ჯარის შემოსევას დამარცხებულის ტერიტორიაზე, ჩვენი ერისთვის თავიდან აგვეცილებინა.

საზოგადოთ ჩვენ ვერიდებოდით რომელიმე სახელმწიფოსთვის მიგვეცა რაიმე პირობები, რომლის ასრულებაც ჩვენ ხელთ არ იქნებოდა; ვიცოდით, რომ საქართველოში არსებობდა ისეთი პარტია და საზოგადოება, რომელნიც სხვა აზრს ადგნენ და ჩვენის პირობების ასრულებას თავისთვის სავალდებულოთ არ სცნობდნენ; ჩვენ ვაძლევდით მხოლოთ ისეთ პირობებს, რომლის ასრულებაც შეგვეძლო ჩვენ და ჩვენს მომხრეებ.

ამის შემდეგ მე გადავალ ქართულ ლეგიონის ორგანიზაციისა და მოქმედების ისტორიაზე.

ნესტორ მაღალაშვილი.

საქართველოს ეკონომიური პროგრამა.

სოციალ-დემოკრატების ფინანსისტი და ეკონომისტი ბ. დ. თოფურიძე თავის ჟურნალ ,,Экономистъ Грузіи''-ს პირველ ნომერში მთელ ეკონომიურ პროგრამას იძლევა საქართველოსათვის.

მისი აზრით, საქართველოში დემოკრატიულ სახელმწიფოს აშენებისა და განმტკიცებისათვის საჭიროა ჯან-საღი ფინანსები, ხოლო ამისათვის საჭიროა მთავრობამ უმთავრეს მიზნათ მიიჩნიოს განვითარება ფაბრიკა-მრეწველობისა. ,,საქართველოს სამეურნეო ცხოვრების ზრდა—განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოიკიდებს ფეხს ჩვენში მსხვილი კაპიტალისტური წარმოება'' (კურსივი ჩვენია). ,,მთავრობის მოვალეობას შეადგენს—ყოველივე ძალების მოკრეფით,—შექმნას იმ გვარი პირობები, რომელნიც შესაძლოდ გახდიან ყველა ამ ბუნებრივი განძის არა მარტო ამოღებას, არამედ მათ დამუშავებასა და ბაზარზე გამოტანას“.

,,საქართველოშივე უნდა მუშავდებოდეს აბრეშუმი, მატყლეულობა, ხე-ტყე, თამბაქო და ყველა ის ნედლი მასალა, რომელიც საკმარისი რაოდენობით მოიპოვება ჩვენს ქვეყანაში.“

ჩვენ სოციალ-დემოკრატებს როგორც სჩანს, სულ კაპიტალიზმი და პროლეტარიატი ეზმანებათ.

მე კარგათ მახსოვს ბ. ნოე ჟორდანიას მოხსენება შარშან სააღდგომოთ თავად-აზნაურთა საკრებულოში, ჯერ როცა ,,რევოლიუცია'' ახალი ხილი იყო. მან გადმოალაგა მთელი თავისი თეორია, პრაქტიკა და გეგმა თავის ნაციონალიზმისა, რომლითაც თბილისი, რკინის გზა და შავი ზღვის ნაპირები ადერბეიჯანსა და სომხებს შესთავაზა, და ქართველ ერს დაუტოვა რაჭა-ლეჩხუმი სვანეთი თურთ, მთიულეთი და ფშავ-ხევსურეთი, ისე როგორც, ლანგთემურისა და ჩინგის ყაენის შემოსევის დროს. სამერმისოდ კი ქართველ ერს კელტების ნაშთის ბედს უმზადებდა (პირენეის მთებში დღესაც არიან ბასკები შეხიზნებული). მაგრამ როცა თავზედ მეხი დააყარეს იქ დამსწრეთ, უცბად შეასწორა თავისი გეგმა. ეხლა სხვა ,,დემოკრატიულ'' ექსპერიმენტებს ამზადებს საქართველოსათვის, მაგრამ იმედია, მალე გამოტყდება და იტყვის: ,,შემეშალაო''. ასე სწერია ხომ მის წიგნში (იხ. წ ნასიტყვაობა მისი ,,რჩეული ნაწერებისა'').

მაგრამ დავუბრუნდეთ ,,მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებას''.

ექსპედიციის გამგე ინჟინერი ქურდიანი ცხარე ცრემლით ტირის, ზონების ბეჭდვა ვერ მომიხერხებია,—მუშები 8 საათის მაგიერ ოთხსაც არ მუშაობენო და ზარმაცების და საქმის ამრევ-დაირევის დათხოვნა ვერ მომიხერხებია, რადგან ე' პროფესიონალური კავშირის კომპეტენციას შეადგენს დეკრეტის ძალით, და არა ქარხნის გამგისაო.

ამ გვარათ ხომ არა სურთ ჩვენ სოციალ-დემოკრატებს მრეწველობა დააარსონ და გააძლიერონ.

სოციალ-დემოკრატების ეკონომისტ თოფურიძეს ჰგონია, რომ მრეწველობის გავრცელება და გაძლიერებისათვის საკმარისია კაპიტალი და პროლეტარიატი.

საქართველოში არის აბრეშუმი, ბამბა, მატყლი, ხე-ტყე, თამბაქო და მადნეულობა და მაშასადამე საჭიროა კაპიტალი და პროლეტარიატი, რომ მრეწველობა გაჩაღდეს. მაგრამ ჩვენ ეკონომისტ-ფინანსისტს დავიწყნია, რომ კიდევ ერთი მცირე რამ მასალაა საჭირო მრეწველობისათვის,—ცოდნა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმზე დაწერილი ბროშურებით ამოიწურების.

ეხლა გავარჩიოთ რამდენათ შესაძლოა ყველა ის მრეწველობა, რომელიც ჩამოთვლილია ,,ЭКОНОМИСТЪ''-ში.

აბრეშუმის მრეწველობა მარტო საფრანგეთშია. რატომ? განა აბრეშუმებს მარტო საფრანგეთში იწევენ? ჩვენ ვიცით, რომ საფრანგეთში აბრეშუმს ნაკლებად იწევენ; თუმცა მთავრობისაგან პრემიაც არის დანიშნული მეაბრეშუმე ფერმერისათვის, მაგრამ ის უფრო ვენახს ეტანება, და აბრეშუმის პარკები და ძაფი უცხოეთიდან მიდის საფრანგეთში. მიდის საფრანგეთში და არა ინგლისში და გერმანიაში,—საფრანგეთს აბრეშუმის ქსოვილის დამზადებაში ვერავინ დაეჯიბრება.

მატყლს ინგლისშიაც და გერმანეთშიაც უცხოეთიდან ეზიდებიან, მაგრამ ინგლისის მაუდი მაინც მიუწდომელია გერმანელი ფაბრიკებისათვის. ქვა-ნახშირი და რკინა ინგლისს ბევრი აქვს, გერმანიასაც ბევრი აქვს, მაგრამ ინგლისური ფოლადი მაინც იდეალია გერმანელ მწარმოებელთათვის. ბამბა ინგლისშიაც და გერმანიაშიაც უცხოეთიდან შეაქვთ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ინგლისი სჯარბობს. სჯარბობს, მაგრამ ინგლისელ მუშებმა მიიღეს დადგენილება იმუშაონ 9 საათი დღეში და არა 8 საათი, რომ გერმანეთის მრეწველობამ არ გაუსწროს ინგლისსას და არ აჯობოს საერთაშორისო ბაზარზე. ასეთია მსოფლიო ბაზარზე შეჯიბრება დიდიხნით მრეწველობაში გამოცდილ და გამოწრთვნილ ერებისა...

მაგრამ თუ ჩვენ მარტო ინდუსტრიას არ გადავაკვდებით, განა ცხოვრება არ შეგვიძლია. განა არ არის იმისთანა პატარა ქვეყანა, სადაც მრეწველობა არ არის გაჩაღებული, მაგრამ ფინანსებიც ჯანსაღი ჰქონდეს და ბალანსიც?

არის და აი მაგალითიც.

ბოლგარიაში შემოაქვთ ყოველგვარი ფაბრიკატი: ბამბის, შალის და აბრეშუმის ფართლეულობა, მაშინები და რკინეულობა, ქაღალდი და ხის ავეჯეულობა, ქიმიური ფაბრიკატები და წამლები. გააქვთ: პური, ფქვილი, მსხვილი და წვრილ ფეხი საქონელი, ტყავი და სხვა ამგვარი.

შემოაქვთ 129,600,000 ფრანკის, გააქვთ 157,000,000 ფრანკის. ბალანსი სასარგებლოა. ბოლგარიაში განვითარებულია: სასოფლო მეურნეობა, საქონლის მოშენება, მევენახეობა, ბაღოსნობა, მოსტნეულობისა და თამბაქოს მოშენება.

მებოსტნეობა ისეა განვითარებული, ბოლგარიაში, რომ თესლით მოვაჭრე ფირმები საუკეთესო თესლს ბოლგარეთიდან იბარებენ.

როგორც ხედავთ, ბოლგარია გლეხების სახელმწიფო ყოფილა, სოფლელ გლეხების, მიწათ მომუშავეთ, და მიუხედავათ ამისა უცხოეთთან ვაჭრობაში მათი ბალანსის აქტივი მეტია, ვიდრე პასივი; მაშასადამე ჯან საღი ყოფილა.

აგრეთვე ჯან საღია მათი ფინანსები.

რაც შეეხება ისეთ ძვირფას მიწის მოსავალს, როგორიც არის ბამბა, შეიძლება მხოლოდ მისი ძაფად დართვა. აგრეთვე შეიძლება აბრეშუმი ძაფად ამოვიღოთ და ისე გავაგზავნოთ, და არა პარკებად. მევენახეობას უნდა მიექცეს განსაკუთრებითი ყურადღება; ამისათვის ევქირია ქალაქებში დიდი სარდაფები, საროპიულად მორთული, და სოფლებში ინსტრუქტორები, რომ ღვინის დაყენება გაუმჯობესებულ იქნეს.

ნათქვამია: მცირედსა ზედა ჯერ ი ავ. თუ ამ გვარად მოვაწყობთ ჩვენს მეურნეობას და ეკონომიკას, ე. ი. თუ უმთავრესად დავამყარებთ გლეხის კეთილ დღეობაზედ, ჩვენი ბალანსი უთუოდ ჯან საღი იქნება და თავის თავად ცხადია, მაშინ ფინანსებიც ჯანსაღი იქნება, მაგრამ ამისათვის საჭიროა უპირველეს ყოვლისა ინდუსტრიალურ სიზმრებიდან გამოვერკვეთ.

ბ. გ.

საერობო არჩევნები ზემო-იმერეთში.

ყველას ახსოვს თუ რა აურ-ზაური გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში აჭარაში ოსმალურ რეფერენდუმის მოწყობამ. ყველაზე მეტი გულის წყრომა ამ საკითხში, როგორც სოციალისტებმა, გამოიჩინა გაზეთ ,,ერთობის'' ხალხმა. ,,ასკერები და ბოქაულები ხალხს ჩაუყენეს სახლში და რა გასაკვირალია, რომ ეს ხალხი შიშით მათ მიცემდა ხმასო. ეს არჩევნები ჩვენ მიგაჩნია ყოვლად უკანონოთ და სასტიკ პროტესტსაც ვაცხადებთო''..

მაგრამ უბედურება ის არის, რომ იმის დამწერი სოციალ-დემოკრატები სწორედ ბათომის რეფერენდუმის დროს მეორე ოსმალურ რეფერენდუმს თვითონ ახდენდნენ,—ეს იყო საერობო არჩევნები საქართველოში.

როდესაც ერობის არჩევნებს გადავათვალიერებთ, და განსაკუთრებით კი შორაპნის მაზრასაც, [illegible] რომ ჩვენებური სოციალ დემოკრატები უფრო მეტს [illegible] ჩადიოდნენ, ვიდრე ,,უკულტურო'' და არა სოციალისტი ასკერები.

ჯერ იყო და ერთი კვირის წინ, სანამ არჩევნები დაიწყებოდა, დიდ ფაცა ფუცში იყვნენ. დადიოდნენ სოფელ-სოფელ და სხვა და სხვა ჭორებ ავრცელებდნენ, ზოგს იმით აშინებდნენ, თუ პირველ ნომერს არ მიეცი ხმა, მამულს წაგართმევენ და სხვას გადასცემენო; ზოგს დაჭერასაც პირდებოდენ და სხვა. მაგრამ დაიწყო თუ არა საარჩევნო მიტინგები სოფლათ, სოც.-დემ. მიხვდნენ, რომ მათ ხალხში ნდობა აღარ აქვთ. ზოგ ალაგას მათ არც კი მოუსმინეს,—მაგალითად, საზანოში და ზოვრეთის რაიონებში, და ხშირათ ჩვენ გვიხდებოდა, ეროვნულ დემოკრატებს, მიგვემართა თხოვნით ხალხისათვის, რომ მათ მოესმინათ სოც.-დემოკრატებისთვის.

გლეხები ძლიერ გამწარებული არიან მიწის დეკრეტით—ჩვენ ვერ შევეგუებით, ყვიროდენ ისინი, ვერც იჯარას და ვერც კუდ შეკვეცილ ნორმას. ჩვენ გვინდა მიწები კერძო საკუთრებათ, რომ მისი ბატონ—პატრონი ჩვენ ვიყოთო, ეს მთავრობა კი ჩვენ არაფერს არ გვაძლევს კერძო საკუთრებათ, და მაგას რათ უნდა მივცეთ ხმაო. შეატყო თუ რა სოც.-დემოკრატებმა თავისი სიკოტრე და ხალხის ნდობის დაკარგვა, მიმართეს ძველ საშვალებას; კომისრებს და მილიციონერებს. პირველი არჩევნები თითქმის მთელ შორაპნის მაზრაში ჩაშალეს და უკანონოთ გამოაცხადეს; როდესაც შევეკითხეთ ზოგიერთ მათ პარტიის წევრს, რაშია ეს უკანონობა, მათ მოგვიგეს,—იმაში, რომ თქვენ მეტი გაიყვანეთო. მეორეთ უფრო უკეთ მოიყვანეს სისრულეში თავისი გეგმა. მაგალითად, მუხურის საზოგადოებაში, როცა ყუთთან მოიყარა ხალხმა თავი, გამოვიდა აქაური ნასალდათარი კამისარი, ავიდა იქვე კიბეზე და ხალხს გადმოუყვირა: ვინც პირველი ნომრის გარდა მიცემთ ხმას, იმათ ყველას აი (მიუთითა თავის თოფზე), ამით გაგიგმირავთ გულსა, ამის შემდგომ რაღა უნდა ექმნა ხალხს? ჩააგდეს პირველი ნომერი ყუთში. ესევე განმეორდა ძირულაში; იქ პირდაპირ რევოლვერი დაუღირეს გულზე ჩვენი პარტიის წარმომადგენელს, სემინარიელ ჩიხლაძეს, გამოაგდეს ყუთიდან, რომ შეატყვეს ხალხი მეორე ნომერს თხოულობდა... ხარაგულის რაიონში [illegible] რომ ვერ გახდნენ, წიფიდან და მარელისიდან გამოიყვანეს რკინის გზის მცველი აჭარის კაცნი თოფებით, არიგებიებდნენ პირველ ნომერს ხალხში და კიდევაც ემუქრებოდნენ, ვინც არ აიღებდა ეს იყო სოციალ დემოკრატების კანონიერი არჩევნები. ამით მოაქვთ მათ თავი და ეს არის ყურებს რომ გვიჭედენ ძახილით, ხალხი ჩვენ მოგვყვებაო.

არ შეიძლება აგრეთვე არ აღვნიშნოთ, რომ არჩევნების დროს მათ მხარს უმშვენებდნენ და ხანდახან კიდევაც ამეტებდნენ ხალხის აბუჩათ აგდებაში სოც.-დ-ების ,,ბლოკისტები'': სოც.-ფედრალისტები და სოც.-რევოლიუციონერები, მაგრამ ამ საწყალ პარტიებისაგან რაღაა გასაკვირალი.

მიუხედავათ ამდენი ძალადობისა, ეროვნულ-დემოკრატებმა შორაპნის მაზრაში მაინც გაიყვანეს მესამედი ხმოსნები. ამგვარად მიჰყვება ხალხი სოც.-დემოკრატიას და თუ ამნაირი არჩევნებით გაიმარჯვეს და კანონიერათ სცნეს, რაღას უსაყვედურებდნენ ოსმალთა რეფერენდუმს. ოსმალებმა იმდენი სიპატიოსნე მაინც ჩაუდენიათ, რომ ქართული ნომრები მიუტანიათ. სოციალ-დემოკრატიული ადმინისტრაცია კი არა თუ სხვა პარტიის ნომრების მიტანას არ წუხდა, სხვას რომ მიეტანა, აწამებდენ!..

ვ. იაშვილი

რუსული ავადმყოფობა და ქართველი სტუდენტობა.

მრავალია ჩვენში ამ სენით შეპყრობილი..

შეიძლება არც კი არავინ შეწუხებულიყო მათ ავადმყოფობისათვის, რომ ამ სენს მავნე გავლენა არ ჰქონდეს ახალ საქართველოზე, რომ ამ ავადმყოფობის ,,ბატონები'' ჩვენს ცხოვრებას სათავეში არ მოჰქცეოდნენ.

და აი, როდესაც ერთი მათგანი კოჯორში რუსულ მაკრატლით გამოჭრილ საკონსტიტუციო პალტოს აჩვენებს ირგვლივ თავმოყრილ ამხანაგობას, თუ პარტიულ წევრებს და კმაყოფილი იმით, რომ ამხანაგებიც კვერს უკრავენ ,,ეს პალტო კარგად დაადგება საქართველოს მხრებზე''-ო (თუმცა ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი გაზაფხულზე გასახდელი იქნება) მეორე—ეს რუსეთის რევო-

---

*) ნახე „კლდე“ № 6,

*) უნდა ითქვას, რომ ასეთი ვალი თავიდან აცილებული იყო, რადგან საქართველოს განთავისუფლების კომიტეტმა ლეგიონი გერმანიასთან შეთანხმებით მოაწყო.

*) რედაქცია სხვა შეხედულების ავტორთა წერილებსაც დაბეჭდავს ,,კლდე''ში ამ დიდი საკითხის გამოსარკვევად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუციის ყოფილი მინისტრი—უკვე სმენას იტკბობს მის მიერ მონათლულ საქართველოს პარლამენტში მის მიერ შემოღებულ რუსულ ენით.

ამას ერთვის ის გარემოებაც, რომ იგივე სენი მის ,,ბატონების'' წყალობით ჯერ კიდევ მოდებულია ჩვენს მოსწავლე ახალგაზდობაში. იმის მაგივრად, რომ ჩვენმა ახალგაზდობამ მაინც პირი იბრუნოს დაღუპულ რუსეთიდან, იმის მაგივრად, რომ ჩვენი მთავრობა ბეთლემის ვარსკვლავივით წინუძღოდეს ჩვენს ახალგაზრდობას სასურველ მიზნებისაკენ, იგი ასე იოლად ამგზავრებს მათ რუსეთისაკენ, მაშინ როდესაც არც ერთი ახალგაზდა არ გაგზავნილა ჯერ გერმანიაში.

ამ მხრივ საყურადღებოა რუსეთსა და უკრაინაში მიმავალ ახალგაზდათა მანიფესტი ,,დღენი ჩვენი ცხოვრებისა,,. არ ვიცით რამდენად დაეხმარა ჩრდილოეთისკენ მიმავალ ახალგაზდობას სიგზაო ხარჯებში მათ მიერ გამართულ დიდ სეირნობასთან ერთად, ეს მათი გონების ნაყოფი, მაგრამ მას ეს მნიშვნელობა მაინც აქვს: იგი დარჩება წერილობით დოკუმენტად იმისა, თუ რას ფიქრობდნენ, როგორ აზროვნობდნენ, საით მიისწრაფოდნენ ჩვენი ახალგაზრდები, (ყოველ შემთხვევაში დიდი ნაწილი ახალგაზრდობისა) და მათი გზების მაჩვენებელნი საქართველოს დამოუკიდებლობის 4 თვის შემდეგ. ვცნობათ ამ ახალგაზდათა გონების ნაყოფს და გულნატკენი ეკითხებით თქვენს თავს: ნუ თუ მრავალია ჩვენში ასე მოაზროვნე და თუ მრავალია, დიდხანს იარსებებს ჩვენი დამოუკიდებლობა?

ნუ თუ მრავალი ეტყვის მიმავალთ დაუფიქრებლივ: ,,წადით, რომ დაუბრუნდეთ საქართველოს ცოდნით სავსენი''.

ნუ თუ თვით მიმავლებს კი სწამთ, რომ რუსეთში ცოდნას შეიძენენ!?

თუ მართლა მარტო იმიტომ მიდიან, რომ (როგორც აღნიშნავს ერთი გზის დამლოცველი) ,,უნდა ემზადნენ მომავალ საერთაშორისო რევოლუციისათვის''; თუ მართლა ესაა მათი მიზანი,—გულდამშვიდებულნი უნდა ბრძანდებოდნენ ჩვენი მომავალ საერთაშორისო რევოლუციის გმირები, რომ საქართველოშიც ბევრი ღირსეული თანამოაზრე დარჩებათ.

ჯერ ისევ თიბათვე იყო, როცა ირ. წერეთელი დიდ ეპისტოლეთი ალუთქვამდა რუსეთის სოც. დემ. ცენტრალ კომიტეტს, რომ ,,შევიწროვებულ სახელმწიფოებრივ ჩარჩოებშიც ჩვენ განვაგრძობთ ძველ რევოლუციურ მუშაობას, არ უღალატებთ ინტერნაციონალურ სოციალისტურ იდეალს''-ო.

ინტერნაციონალურ სოციალისტურ იდეალისთვის მუშაობაში რასაკვირველია, მეტად უთანხმდებიან რუსეთში გამგზავრებულ ახალგაზდობას ჩვენი მესვეურნი, რომელნიც, ჟორდანიას თქმით, იმით განსხვავდებიან სხვებისაგან, რომ სახელმწიფოს შენების დროსაც კი პერსპექტივაში აქვთ სოციალური რევოლუცია.

აი ამიტომ ჩვენ აღარ გვესმის ახალგაზდათა გულნატკენი ჩივილი: „ჩვენ გვწამს, რომ დღეს, ისე როგორც არასოდეს, საჭიროა ჩვენი ქვეყნისათვის გამოცდილი ხელი და თავი, რომლის ნაკლებობასაც ჩვენ ასე მწარედ განვიცდით“-ო.

მართალია ბატონს ნოე ჟორდანიას არა სწამს, რომ სახელმწიფოს ასაშენებლად საჭიროა წარსულ გაკვეთილების, ზოგის თუ გასაფრთხილებლად ,,წინაგასაკრძალებლად“, ზოგისაც სამაგალითოდ და ,,სახედ'' გამოყენება, როგორც იქცეოდა დიდი დავით აღმაშენებელი, რომელმაც ამ გზით შესძლო, რომ კვერთხი მეფობისა საქართველოში ესეოდენ დამდაბლებული, ესეოდენ ძნელი და ნამდვილვე დიდი განსაგებელი—„სჭეროდა ცსრით მაღლად“, მართალია ბატონი ნოე არ ჰგავს არც პრუსიის იმ მეფეს, რომელიც იმდენ ეკონომიას ეწეოდა, რომ ხშირად მისი ბავშვები ტაბლიდან ნახევრად მშიერნი დგებოდნენ, სამაგიეროდ 2¼ მილიონ მცხოვრებთაგან 80 ათასი ჯარისკაცი შეამზადა, მაგრამ ამაში საყვედურს მომავალ საერთაშორისო რევოლუციისათვის მოსამზადებლად რუსეთში მიმავალი ახალგაზდები არ უნდა ეუბნებოდნენ, რადგან ბატონი ნოე ჟორდანია ყველას გასაგებად აცხადებს, რომ ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი რესპუბლიკა, რომელიც იქნება ,,სოციალიზმთან შეგუებული პოლიტიკური ფორმა'' და რომელიც შეძლებას მოგვცემს შეუდგეთ საზოგადოების სოციალისტურ გარდაქმნას.

შეიძლება ჩვენი ახალგაზრდობა სწორედ ამ საქმისთვის სთვლიდეს ჩვენს მესვეურებს გამოუცდელებად,—არც ესაა გასაკვირველი და მათ, ვისაც სწამს სოციალისტური სამეფო, იმედი უნდა ჰქონდეთ, რომ ბოლშევიკურ რუსეთში სწავლა დამთავრებული ახალგაზდები პირდაპირ მიიყვანენ ამ სამოთხის ჭიშკართან. არ ვიტყვით, რომ ამ მხრივ ჩვენი მესვეურები ჰგრძნობდნენ თავიანთ ,,ფერშლობას'', (როგორც ამას აღნიშნავენ ჩვენი სტუდენტები თვიანთ მანიფესტში) და იმიტომ ჰგზავნიან ახალგაზდებს რუსეთში, რომ ნამდვილი ,,ექიმები'' დაუბრუნდნენ საქართველოს, მაგრამ საქართველოს მართლაც სჭირია ექიმები, თუმცა ისინი მას ბოლშევიკურ რუსეთიდან არ მოუვლინდებიან.

საქართველოს ვერ უექიმებენ ისინი, ვინც კვლავ რუსეთისაკენ განაგრძობენ ყურებას, მისკენ ისწრაფიან.

უნდა განვიკურნეთ იმ სენისაგან, რომელიც აიძულებს წერეთელს, რომ რუსულ ენაზე ალაპარაკოს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები ჩვენს პარლამენტში, ხოლო ჩვენს მთავრობის თავმჯდომარეს, რომ რუსულ მაკრატელით სჭრას და რუსულ ძაფით უკეროს საქართველოს გაზაფხულზე გასახდელი კონსტიტუციური პალტო. მარად უნდა გვახსოვდეს პატიოსან მამულიშვილის, მიხაკო წერეთლის სიტყვები: ,,თუ კიდევ რუსეთისაკენ მიისწრაფიან ჩვენები, მაშინ ჩვენი საქმე წასულია, ღმერთიც ველარ გვიშველის!''

კმარა სწრაფვა კულტურულ და პოლიტიკურ დაქვეითების ჩრდილისაკენ, ახლა—მაღლა სინათლისაკენ, ევროპისაკენ!

ს. იორდანიშვილი.

გერმანული უნივერსიტეტები*).

გერმანელმა უნივერსიტეტებმა ომის განმავლობაში ისევე მუყაითად იმუშავეს, როგორც ომამდის; მართალია შევიწროვებანი მათაც გამოსცადეს მოზრდილი და ჯარში გასაწვევი ახალგაზრდობა ომის დასაწყისისთანავე სამშობლოს ემსახურებოდა როგორც მოხალისე. მრავალი პროფესორი აქამდის ბრძოლის ველზე იმყოფებიან, მაგრამ, მიუხედავათ მასწავლებელთა და მოსწავლეთა სიმცირისასა, გონებრივი ცხოვრება გერმანიაში არ შეწყვეტილა და ისევე განაგრძობს ინტენსიურათ წინსვლას, როგორც ზავის დროს. მეცნიერებმა დანიშნეს ახალი სამეცნიერო პრემიები და კიდევაც დაურიგეს ღირსეულთ. მოსწავლე ქალთა რიცხვმა საგრძნობლათ იმატა, დოქტორთა ახალ დისერტაციებს, რომელიც ომის დროს დაიბეჭდნენ, ტრადიციული ღირსეულება არ დაუკარგავთ. სამეცნიერო ინსტიტუტებს დაებადათ ახალი გამოცანები, რომელთა გარდაწყვეტაში ძველებური მუყაითობა გამოიჩინეს მაგალითად, პრუსიის სამეცნიერო აკადემიამ მიზნათ დაისახა შესწავლა ტყვეთა ლაგერში ყველა ენები, დიალექტები, სახალხო სიმღერები. აკადემიამ ეს ამოცანა სისრულეში მოიყვანა კიდეც. ერთი წლის წინეთ უკვე 2 ათასზე მეტი ფონოგრაფიული ფირფიტა იყო მზათ ფრანგული, ინგლისური, რუსული, რუმინული, პორტუგიზული, ბასკური დიალექტებით. აგრეთვე მრავალი ფირფიტები გვაქვს კავკასიური ენებისა და აუარებელი მონუსკრიპტებიც.

ბავარიის სამეცნიერო აკადემიამ გადაიღებინა ომის დროს ბერძნული დიალექტები და სახალხო სიმღერები. და თუ ჩვენ ვხედავთ, რომ გერმანელთა მეცნიერებს მუშაობა არ შეუწყვეტიათ ომის დროს, ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ომის შემდეგაც იმ ენერგიით, როგორიც გერმანელს აქვს, გაცილებით მეტს იღწვიან.

გერმანია თვის როლს როგორც მეცნიერი ხელმძღვანელი, არასოდეს არ დაჰკარგავს. ზავის ჩამოგდება გერმანიისათვის იქნება წაქეზება, მისი ძალების გაორკეცებისა და მოგროვებისათვის.

გერმანელი სტუდენტობა დასხდება ისევ მოსწავლეთა სკამებზედ, პროფესორები კი თავის კათედრებიდან კიდევ მეტის ენერგიით შეუდგებიან იმის გაკეთებას რაც ომის დროს გამოტოვებული იყო.

გერმანული უნივერსიტეტები, ისევე როგორც წინათ, ფართოთ გაუღებენ კარებს უცხოელთ. უპირატესობა მიეცემათ, რათქმა უნდა, მოკავშირე და ნეიტრალურ სახელმწიფოებს. გერმანიის მოკავშირე სახელმწიფოთა სტუდენტები ომის განმავლობაშიც მრავლათ იყვნენ ჩვენს უნივერსიტეტებში.

გერმანიაში ჰფიქრობენ, რომ საქართველოდან და კავკასიიდან ბევრი სტუდენტები ჩამოვა. უკვე ზომებია მიღებული, რომ ქართველ სტუდენტებს საშუალება მიეცეთ გერმანულ უნივერსიტეტებში სწავლისა.

თბილისში ქართულ-გერმანულმა საზოგადოებამ უკვე მოჰკიდა ამას ხელი და პირველ ყოვლისა იმაზე ზრუნავს, რომ გამოჰნახოს სტიპენდიები; ვიმედოვნოთ, რომ ეს საქმე სასურველ ნაყოფს მოიტანს.

ქართველი სტუდენტი, ახალი საქართველოს მომავალი „ინსტრუქტორი“, გერმანულ უნივერსიტეტში ჰპოვებს იმას, რასაც ის ტყუილად და უნაყოფოთ ეძებდა რუსის უნივერსიტეტში. ქართველი სტუდენტი მიეჩვევა დისციპლინარულ მუშაობას, ის უაცამბიროთ, უჯანყებოთ, უპოლიციოდ მოაგროვებს მრავალ ცოდნას თვისი ხალხისა და სამშობლოს საკეთილდღეოთ. ის გაიცნობს გერმანიას, იმ ქვეყანას, სადაც ყველა მეცნიერების დარგში პატიოსანი და ინტენსიური მუშაობაა და ისწავლის გერმანიაში თუ როგორ აამაღლოს საქართველოს კულტურა.

A. Дirr.

---

*) თარგმანი „კლდისათვის“ გერმანულ ხელთნაწერიდან.

საკვირო მიმოხილვა

როგორ ყიდულობენ მიწას იმერეთში

გაზეთ „ერთობაში“ ბ-ნი ზ. დათიაშვილი (ზ. გურული) ასე აგვიწერს იმ ბრძოლას, რომელსაც აწარმოებენ იმერელი მესაკუთრენი მიწის დეკრეტის წინააღმდეგ, ნორმაზე მეტ მამულის შესანარჩუნებლად ან და საყიდელად:

„მახინაციები ბევრნაირია. ზოგი ადგენს ფიქტიურ საბუთებს ან ცრუ მოწმეებს, რომ ის ძმებთან, მამასთან, დედასთან, დებთან, დეიდებთან, ბიძებთან და სხ. გაყოფილია და თხოულობენ იმდენ ნორმას, რამდენი სულიცაა ქალიან კაციანად. წინათ, მოვალეებისათვის რომ თავი დაეღწიათ, მამულს გადასცემდენ ხოლმე ცოლს, ან სხვა ვინმე ნათესავს. ეხლა ასეთ საბუთებსაც რეფორმის წინააღმდეგ იყენებენ, ზოგს სხვადასხვა მაზრაში ან სხვადასხვა გუბერნიაში აქვს მამულები და თუ კომისიამ შემთხვევით არ გაიგო, მემამულე მალავს. ზოგი ახერხებს იქვე მეორე სოფელში, რომ რამოდენიმე ნაჭერი მიწა აქვე დამალოს და სხვა და სხვა, მაგრამ ყველაზე უფრო საყვარელი მახინაცია, განსაკუთრებით წვრილი მემამულეებისა გახლავთ ისევ გაყიდვა. ზოგ გულუბრყვილო მკითხველს გაუკვირდება ალბათ და მკითხავს: განა ყიდვა-გაყიდვა აკრძალული არაა. დიახ, ჩემო კარგო, აკრძალულია, მაგრამ ჩვენებური მემამულეები რას არ შემოუვლიან? აკრძალულია რევოლიუციის პირველ თვეებში, ისინი კი პირობას წერენ-[illegible] წლის წინა თარიღით წერენ შინაურულათ და გლეხი [illegible] პირობას [illegible]ბა იქ იმედით, რომ რეფორმა მაინც არ გავა, ან თუ გავიდა, მაშინ ამ პირობას მოწმეებსაც მიაყოლებს და ასე რეფორმისტებს მოატყუებს. ამაში დახმარებას თვით მემამულე კისრულობს. ხშირათ კი ასეთ შინაურულ პირობას მეორე მახინაციის შემწეობით გააოფიციალურებენ კიდეც: ასეთ პირობას მყიდველი გლეხი ასაჩივრებს სამწუხაროთ ჯერ კიდევ გაუახლებელ სასმართლოში, სადაც აცხადებს, რომ გამყიდველმა მფლობელობა დამირღვიაო. მოსამართლე იბარებს მყიდველს, რომელიც ისე ილაპარაკებს, რომ სადაო ადგილს წააგებს და მსაჯულიც „კანონიერათ“ აბარებს მომჩივანს. ან და მყიდველ-გამყიდველი მედიატორეს ირჩევს მედიატორე მყიდველს ამართლებს და მისი დადგენილებაც იმავე წესით ოფიციალურდება და ასე ბოლომდის... ზოგი გლეხი ამას განგებ ჩადის შეგნებულათ, ვინაიდან ფიქრობს მთავრობა ამ მიწას მას არ მისცემს, როგორც შედარებით მეტი მიწის მქონეს. მაგრამ ყველაზე მეტი სავალალო ისაა, რომ ფონდში გადასასვლელ მიწების გაყიდვას ხელს უწყობს სოფლის ინტელიგენციის ერთი ნაწილიც ესენი გამოდიან მედიატორეებათ, გამრიგეებათ, ვექილებათ ან გზის მაჩვენებლათ. ხელს უწყობენ ზოგი მსაჯულებიც“...

ქრონიკა

პარლამენტის საგანგებო სხდომა

26 ღვინობისთვეს, საღამოს ყველა პარტიის ფრაქციის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირა მთავრობის ნაბიჯებს, სომხებიდან თავის დასაცავად გადადგმულს.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-მა ნ. რამიშვილმა მოახსენა პარლამენტს, რომ შვეციამ, დანიამ და შვეიცარიამ იცნეს ფაქტიურად საქართველოს დამოუკიდებლობა და თავიანთი დიპლომატიური წარმომადგენლებიც დანიშნეს.

ნორვეგიაში მყოფ ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის ელჩებს თანაგრძნობით მიუღიათ საქართველოს დამოუკიდებლობის ნოტა და გაუგზავნიათ იგი თავიანთ მთავრობებისათვის დადებითი დასკვნით.

დარბაზი ოვაციით შეხვდა მთავრობის მოხსენებას.

◆ **დამოუკიდებელ ნაც.-დემ. მთავ. კომიტეტის** კრება შესდგება დღეს საღამოს 7 საათზე ,,კლდის'' რედაქციაში.

◆ **გიორგი მაჩაბლის ჩამოსვლა.** თფილისში ვენიდან ჩამოვიდა საქართველოს ელჩი გიორგი მაჩაბელი.

დახმარება საჩხერეს.

საქართველოს პარლამენტის საფინანსო და საბიუჯეტო კომისიამ შინაგან საქმეთა სამინისტროს აცნობა, რომ თანახმად პარლამენტის გადაწყვეტილებისა კომისიას გადაეცა განსახილველად საკანონმდებლო წინადადება გრ. ვეშაპელისას: „საჩხერეში ცეცხლისაგან დაზარალებულ მცხოვრებთა და დაწესებულებათა დასახმარებლად გადაეცეს სახელმწიფო ხაზინის თანხიდან ერთდროულად 100 ათასი მანეთი შორაპნის სამაზრო საერობო გამგეობას''. კომისია თანახმად თავისი დადგენილებისა სთხოვს სამინისტროს დაუყონებლივ მოაწოდოს საჭირო ცნობები, ვინაიდან თვით კომისიას ამ კანონ-პროექტის განსახილველად და თავის აზრის წარმოსადგენათ ერთი კვირის ვადა აქვს პარლამენტის მიერ მიცემული.

ერ.-დემ. პარტიის კონფერენცია

დამოუკიდებელმა ეროვნულ დემოკრატიულმა მთავარმა კომიტეტმა შემდეგი განცხადებით მიმართა ეროვნულ დემოკრატიულ მთავარ კომიტეტს (უმრავლესობას:)

„კეთილ ინებეთ და გვაუწყეთ, თანახმა არის თუ არა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი, რომ დანიშნულ იქნას დაუყონებლივ ვადა პარტიის მესამე კონფერენციის მოწვევისა და დამოუკიდებელ ეროვნულ დემოკრატიულ კომიტეტთან შეთანხმებით შესდგეს საგანგებო კომისია, რომელიც იზრუნებს საერთო კონფერენციის მოწვევაზე, რათა ამით შესაძლო გახდეს ორივე მიმართულებათა საერთო საკონფერენციო შრომა.

თუ დამოუკიდებელი ეროვნულ-დემოკრატიული მთავარი კომიტეტი ერთი კვირის განმავლობაში ვერ მიიღებს დამაკმაყოფილებელ პასუხს ამ საგანზე, მაშინ იგი თავის უფლად სთვლის თავს დაუყონებლივ შეუდგეს დამოუკიდებლად პარტიულ კონფერენციის ორგანიზაციას“.

ფელეტონი

სოციალისტური რესპუბლიკა

გერმანიის რაიხსტაგის წევრის
რიხტერის კრიტიკა

თავი VII.

სოფლელების უკმაყოფილება.

გამოქვეყნებულია ბრძანება, ყველა 20 წლის ახალგაზრდა სამის დღის განმავლობაში გამოცხადდეს სამხედრო ბეგარაზე. ამათში აგნესას ძმაც არის. განზრახულია რაც შეიძლება საჩქაროდ მოაწყონ და შეაიარაღონ „სახალხო მილიცია“. სამხედრო სამინისტრო, რომელიც აღზრდილ ბავშვთა შენობად უნდა გადაკეთებინათ თავისი მშვენიერის ბაღით, ისევ სამხედრო დანიშნულებას უნდა ემსახუროს. სამშობლოს შინაური მდგომარეობა თხოულობს უფრო ადრე და უფრო ფართედ მოეწყოს სახალხო მილიცია, ვიდრე ეს განზრახული იყო; პროვინციის ახალი გუბერნატორები დაჟინებით თხოულობენ სამხედრო დახმარებას ახალ კანონების განსახორციელებლად სოფლებსა და პატარა ქალაქებში, ამიტომ ყოველ საპროვინციო სამმართველოსთან ინიშნება ქვეითა ბატალიონი, ცხენოსანთა ესკადრონი და არტილერია. მეტის სიფრთხილისათვის ეს სამხედრო ნაწილები სხვა ოლქის მცხოვრებთაგან სდგება და არა ადგილობრივთაგან.

გლეხები გონს უნდა მოიყვანონ. ისინი ეწინააღმდეგებიან გასახელმწიფოებრივობას, ანუ, როგორც ეხლა ოფიციალურად ამბობენ, სოციალიზაციას, გასაზოგადოებრივობას მათის კერძო მოძრავ ქონებისას,—სახლისა და კარმიდამოსა, საქონლისა და სხვა ქონებისას. გლეხს რადაც უნდა დაუჯდეს, უნდა თავის საკუთრება შეინარჩუნოს, თუნდაც ამისათვის დილიდან შუაღამემდე უღლის თრევა მოუხდეს. შესაძლებელი იყო მათი მშვიდობიანათ დატოვება თავის ადგილზე, ამით რომ შეუძლებელი არ ხდებოდეს მთელი სახელმწიფოსათვის მწყობრი საწარმოო ორგანიზაცია. ამიტომ საჭიროა ურჩნი თვით მათივე სარგებლობისათვის იძულებულ ჰყონ დამორჩილდნენ. როდესაც მთელი ორგანიზაცია განხორციელდება, მაშინ გლეხები გაიგებენ რა ნაკლები შრომა სჭირიათ და რა ბედნიერი ცხოვრება მოუმზადა მათ სოციალ დემოკრატიამ.

სოფლის დღიური მუშები თავდაპირველად ძალიან თანაგრძნობით შეხვდნენ დიდ მამულთა ეროვნულ საკუთრებად გამოცხადებას, სადაც ისინი მუშაობდნენ. ეხლა კი უეცრად ცვლილება დაეტყოთ. ყველამ დიდ ქალაქებს მიაშურა, განსაკუთრებით დედა-ქალაქს აქ ფრიდრიხის ქუჩასა და ცაცხვებ ქვეშ უკანასკნელ დროს ნახავდით პროვინციის შორეულ კუთხიდან მოსულ ისეთ ადამიანთა ტიპებს, რომელნიც წინად არასოდეს არ გინახავთ აქა. ზოგი ცოლშვილითაც მოსულიყო. ფული ცოტა ჰქონდათ, მაგრამ თხოულობდნენ სამუშაოს, ტანისამოს და ფეხსაცმელს, რაც საუკეთესო და ძვირფასი იყო. გაეგონათ, რომ აქ ყველა განცხრომით ცხოვრობსო. ეს რომ მართალი იყოს! რასაკვირველია, ამ ტყის ნადირებს უკანვე ჰგზავნიან თავიანთ სამყოფელ ადგილებში, რაც დიდ წინააღმდეგობას იწვევს მათის მხრით. ის-და გვაკლია, რომ სახელმწიფოს მშვენიერი ორგანიზაცია წარმოებისა და მოხმარებისა პროვინციიდან გადმოხვეწილთა მოძრაობით ჩაიფუშოს. ეს ხალხი იმასაც არ დაერიდება, რომ შინ სამუშაო დააგდოს და კალიასავით მოედოს აქ შეგროვილ სარჩოს, ან, თუ ეს მისთვის უფრო ხელსაყრელი იქნება, შინ დარჩეს და აქ მისთვის დამზადებული სარჩო კი დალპეს მათს მოლოდინში.

რა თქმა უნდა, კარგი იყო, რომ უფრო ადრე გამოსულიყო ის კანონი, რომლითაც არავის უფლება არა აქვს დროებით დასტოვოს თავისი საცხოვრებელი ადგილი, თუ ამის მოწმობა არა აქვს, არც იმის უფლება აქვს სამუდამოდ გადასახლდეს სხვაგან, თუ მთავრობამ ამის ნება არ დართო. დედა ქალაქში შემოსვლა და დასახლება აწიც შეიძლება, რასაკვირველია, მაგრამ არა თავის ნებით და უგეგმოთ, არამედ მთავრობის დაწვრილებით ანგარიშის თანახმად, როგორც ეს მარტივათ და ნათლად არის გამოცხადებული მთავრობის გაზეთში. სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, ან როგორც ეხლა ეძახიან—საზოგადოება, სერიოზულათ უყურებს საყოველთაო სამუშაო ბეგრას და ამიტომ კრძალავს ყოველგვარ მაწანწალობას და მათ რიცხვში რკინის გზით წანწალსაც.

მთავრობის გაზეთში დღესაც ძალიან მაგარი წერილია დაბეჭდილი ეგრედ წოდებულ დეცენტრალისტების წინააღმდეგ, ე. ი. მათ წინააღმდეგ, რომელნიც მიმართულებათა კომპრომისებს ესწრაფვიან, როგორც ამას ბევრი ქალაქელი შვრება, როცა ჭიქა ლუდის დროს პოლიტიკოსობს. ხალხს არ სურს გაიგოს, რომ დიდი ქალაქის ხმოსნები ეხლა პარლამენტით თავის გართობას კი არ უნდა ანდომებდენ დროს, არამედ უმაღლესად დასახულ მიზნის განხორციელებას. ერთად ერთი საქმე ის უნდა იყოს იმათი, რომ ყველა ის, რაც მთავრობამ მთელის მხრისათვის შემოიღო, დედა-ქალაქში გაატარონ, ქალაქმა თავის მცხოვრებლებზე უნდა დახარჯოს იმდენი, რამდენიც მცხოვრებთა აღწერილობით არის საყოველწლოდ გადადებული საზოგადო დაწესებულებათა და ახალ შენობათა ასაგებად,—არც მეტი, არც ნაკლები.

გუშინ მინისტრთა თავმჯდომარემ კიდევ წარმოსთქვა სიტყვა პარლამენტში თავისებურის საქმიანობით (როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს მთავრობის გაზეთი), და ერთხმად მიაღებინა საჭირო დადგენილება. საკითხი ეხებოდა იმას, შეიძლება თუ არა სოფლის დამშვიდებას მივაღწიოთ კერძო მემამულეთა მიწის საკუთრების მოსპობით არა მთელის სახელმწიფოს სასარგებლოდ, არამედ ეგრედ წოდებულ ადგილობრივ მწარმოებელთა ასოციაციების სასარგებლოდ, რომელშიაც შეერთებულნი უნდა იყვნენ მცხოვრებნი ყოველი თემისა.

,,ასეთი ჯერ კიდევ ლასსალის დროიდან დაწყებული და 1891 წელს ერფურტის ყრილობისაგან უარყოფილი შეცდომა არ უნდა იქმნეს ხელ-ახლა განმეორებული. ამგვარი სხვა და სხვა ორგანიზაციები მწარმოებელ კავშირებისა უსათუოდ კონკურენციას (მეტოქეობას) გამოიწვევდა ცალკე თემთა შორის. სხვადასხვაობა სხვა და სხვა ოლქის ნიადაგისა და ადგილის ღირსებათა ხელახლა გამოიწვევდა განსხვავებას მდიდარსა და ღარიბს შორის და ამგვარად გზას გაუხსნიდა კერძო კაპიტალიზმს. შეთანხმებული ორგანიზაცია წარმოებისა და მოხმარებისა, აგრეთვე მიზანშეწონილი განაწილება მთელს მხარეში მუშათა ძალებისა არ ჰგუობს რაიმე ინდივიდუალიზმს, რაიმე კონკურენციას, არც პირადს, არც ადგილობრივს. სოციალ-დემოკრატიას სძულს ყოველივე სანახევრო, მან ან უნდა მთელი მიიღოს, ან სულ არაფერი. ჩვენ გვინდა ყოველივე ეს სავსებით და მთლიანად განვახორციელოთ"!

(შემდეგი იქნება)


რუკა საქართველოს ისტორიულ საზღვრებისა რუსეთთან შეერთების დროს 1783–1801 წ.
შავი ზღვა
ნიშნები:
საქართველოს საგარეო საზღვრები.
საქართველოს სამეფოთა და სამთავროთა საზღვ.
საქართველოსაგან დამოკიდებულ სახანოთა საზ.
რუსეთის ახლანდელი სახელმწიფო საზღვარი კავკასიაში.
ტფილისი
ბათუმი
ყარსი
ერევნის სახანო

საქართველოსა და გერმანიის ეკონომიური ხელშეკრულობანი:

III. შავი ქვის შესახებ.

ხელშეკრულობა საქართველოს სახელმწიფოსა, საგარეო საქმეთა მინისტრ ჩხენკელისა და დელეგაციის წევრთა დოქტორ ნ. ნიკოლაძის და დოქტორ ზურაბ ავალოვის სახით და ქვემორე აღნიშნულ ფირმათ შორის, ,,საქართველოს მარგანეცის სააქციონერო საზოგადოების“ დაარსებაზედ.

1) საქართველოს სახელმწიფოს მთავრობა ვალდებულია მიანიჭოს განსაკუთრებული უფლება მარგანეცის ექსპორტისა საქართველოს ტერიტორიიდან 1918 წლის 1 ღვინობისთვიდან 30 წლის ვადით იმ სააქციონერო საზოგადოებას, რომლის გამგეობა იქნება თბილისში და განყოფილება ბერლინში, დაარსებული საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით და ქვემორე აღნიშნულ ფირმების ხელმძღვანელობით.

2) ძირითადი თანხა საზოგადოებისა შეადგენს 15 მილიონ მარკას, გაყოფილს სახელობით აქციებათ.

გერმანულს და ქართულს კაპიტალს უფლება ეძლევა თანასწორი მონაწილეობისა სააქციონერო თანხაში. საქართველოს სახელმწიფოს შეუძლიან თვითონ შეიძინოს ის ნახევარი აქციებისა, რომელიც ეკუთვნის ქართულ კაპიტალს, ან გადასცეს ქართველ კაპიტალისტებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვალდებულია გადასცეს აქციები თვით საზოგადოებას.

3) საქართველოს მარგანეცის საზოგადოების გამგეობა შესდგება სამი პირისაგან, რომელთაგან ორს წარმოადგენენ გერმანელი აქციონერები და ერთს ქართველი აქციონერები. თავმჯდომარე საბჭოს ზედამხედველი კომიტეტისა უნდა წარმოდგენილი იყოს ქართველ აქციონერთა მიერ საქართველოს მოქალაქეთაგან და მისი მოადგილე — გერმანელებისაგან, აქციონერებისაგან.

თვითონ არჩევანი გამგეობის წევრებისა და ზედამხედველ საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის უნდა ხდებოდეს ყოველთვის ორთავ ჯგუფის აქციონერების შეთანხმებით.

4) საზოგადოება იხდის საქართველოს სახელმწიფოს სასარგებლოდ თითო ტონნა გაზიდულ მარგანეციდამ სამ მარკას. საქართველოს სახელმწიფო შეამცირებს ან სულ გაანთავისუფლებს ამ გადასახადისაგან მარგანეცს და მის კონცენტრატებს, თუ აღნიშნული ფასი უცხო მადნიდან საკონკურენციოთ სამძიმო აღმოჩნდება.

5) მოგებიდან, რომელიც აღემატება სააქციონერო თანხის 10%-ს, — ნახევარი (50%) ეკუთვნის საქართველოს სახელმწიფოს.

6) საქართველოს სახელმწიფო არავითარ დაბრკოლებას არ აღმოუჩენს ექსპორტში ,,საქართველოს მარგანეცის სააქციონერო საზოგადოებას“ — ხელშეკრულობის ვადის გასვლამდე, — არც რაიმე გარდასახადებით, არც სხვა საშუალებით; კერძოდ არ გაადიდებს იმ ადგილობრივ და სახელმწიფო გარდასახადებს მარგანეცზედ, რომელნიც ეხლა არსებობს და არ დაადებს ახალს, — გარდა იმისა, რასაც დასთანხმდება თვითონ საზოგადოება.

7) ,,საქართველოს მარგანეცის სააქციონერო საზოგადოებას“ არასგზით არ დაედება არავითარი გარდასახადი ან ხარჯი იმ ნორმაზე ზევით, რაც გადახდებათ ანალოგიურ საზოგადოებათ.

8) საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში არც ერთ რკინის გზაზედ არ უნდა იყოს ტარიფი ან სხვა წესი ტრანსპორტისა უფრო მაღალი ან საძნელო მარგანეცისათვის, ვიდრე მიწის სხვა ნედლ ნაწარმოებზედ (სასოფლო სამეურნეოზე).

9) საქართველოს სახელმწიფოს უფლება აქვს თავისი მუდმივი წარმომადგენლის საშუალებით კონტროლი გასწიოს, რომ საზოგადოებამ შეასრულოს კონცესიის პირობანი. კონტროლი შეიძლება სპეციალურად მიმართული იყოს იქითკენ, რომ გაზიდულ მადანზედ ხარჯის აკრეფის დროს არავის მიეცეს რაიმე შეღავათი; აგრეთვე იმაზედაც, რომ საზოგადოების მონაწილე იმ მადნის ყიდვის დროს უპირატესობა არ მისცეს მადნის მესაკუთრეთ.

10) საქართველოს მარგანეცის საზოგადოების სადაო საქმეები, რომელნიც შეეხებიან ყიდვას — გაირჩევიან თბილისის სასამართლოს უწყებებში და ისინი კი, რომელნიც შეეხებიან გაყიდვას — ბერლინის უწყებებში.

11) საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურად მფარველობს საზოგადოების დაწესებულებათ და გარანტიას აძლევს ზარალისა და აკლებისაგან, რომელიც შეიძლება გამოწვეულ იქმნას უწესოებისა და სხვა შინაურ პოლიტიკურ მიზეზებისაგან.

12) საქართველოს სახელმწიფოს გერმანელ მთავრობასთან შეუთანხმებლად არ შეუძლიან შეამციროს ვადის გასვლამდე ის უფლებანი, რომელიც ეკუთვნის გერმანულ საზოგადოებას მარგანეცის ექსპლოატაციაში.

ჩვენი პარტია.

შ. ქარუმიძის მოხსენება თელავში

სამშაბათს, 15 ამ თვეს საქართველოს პარლამენტის დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატიულ ფრაქციის წევრმა შალვა ქარუმიძემ თელავის მრავალრიცხოვან პარტიულ კრებას მოხსენება გაუკეთა საქართველოს ვითარებაზე, პარლამენტის მუშაობაზე და დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატიულ ტაქტიკაზე. მეორე დღეს, 16-ში, თელავის ერ.-დემ. სამაზრო კომიტეტის თხოვნით, ბ-ნმა შალვა ქარუმიძემ წაიკითხა საჯარო ლექცია პოლიტიკურ მომენტზე. ლექციას დაესწრო ბლომათ არა პარტიული გარეშე საზოგადოებაც. ლექცია გაგრძელდა სამ საათს. კამათი, რომელიც უნდა გამართულიყო ლექციის შემდეგ, არ შესდგა, რადგან არავინ აღმოჩნდა მსურველი. შემდეგ კრება დაიხურა გარეშეებისათვის და კომიტეტის თხოვნით ლექტორმა უამბო პარტიულ წევრებს იმ განხეთქილებაზე, რომელიც მოხდა მთავარ კომიტეტსა და ფრაქციაში და რომელსაც ადგილობრივი პარტიული წრეები იცნობდნენ მხოლოდ ბ-ნ მ. ქავარიანის მოხსენებიდან. კრება ერთხმად და ერთსულოვნათ შეხვდა იმ აზრს, რომ პროვინციულ ორგანიზაციებმა უნდა შეინახონ სრული სიდინჯე სანამ მესამე კონფერენციაზე საბოლოოდ გარდაწყდება პარტიის ბედი და მანამდის კი შეუფერებელი ცირკულიარების მიხედვით გამოტანა სხვა და სხვა რეზოლიუციისა არის პარტიის ღირსების შემლახველი.

თ.—ი.

ტყეების კონფისკაციის

კანონ-პროექტი

1. ყველა ტყე, რომლებიც ეკუთვნოდა კერძო მესაკუთრეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ითვლება სახელმწიფო საკუთრებათ 1917 წ. 16 დეკემბრიდან.

2. გაუქმდეს 1917 წ. 16 დეკემბრიდან ყველა პირობები, შეკრული ყოფილ მესაკუთრეთა მიერ შესახებ ტყის ექსპლოატაციისა, იჯარით გაცემისა ან ხე-ტყის მოჭრისა.

3. 1917 წ. 16 დეკემბრამდე ტყეებში მოჭრილი ხე და ზემოხსენებულ ვადამდე დამზადებული ტყის მასალა შეუძლიანთ გაიტანონ ტყეებიდამ ყოფილ მესაკუთრეთ, ანუ ვისაც ეს უფლება გადასცეს, ექვსი კვირის განმავლობაში დღიდან ამ კანონის მიღებისა საქართველოს პარლამენტის მიერ, ხოლო აღნიშნულ ვადის შემდეგ ტყეებში დარჩენილი ტყის მასალა ითვლება სახელმწიფო საკუთრებათ.

შენიშვნა: ტყეების ყოფილ მესაკუთრეთა ანუ მოიჯარადრეთა მიერ გამზადებულ ტყის მასალის რაოდენობას აღნუსხავს მიწათ-მოქმედების მინისტრი განსაკუთრებულ ინსტრუქციით.

4. ტყეებში გამართული შენობანი, რკინისა და ჰაერში გამართული გზები, ხე-ტყის ჩამოსაშვები მოწყობილობანი, ღარები, ქარხნები და სხვა ყოველგვარი გამართულობა ხე-ტყის ექსპლოატაციისა, მოჭრისა და დამუშავებისა, შეიძლება ჩამოერთვას მათ მესაკუთრეთ საფასურის მიცემით 1918 წლის 17 მარტის კანონში აღნიშნულ წესით.

5. თუ ისეთი ტყეებია, სადაც გამართულია რომელიმე წარმოება სახერხავი ქარხანა, რკინის გზა, ხე-ტყის ჩამოსაზიდავი მორთულობა, ღარები და სხ. კერძო პირებზე გაცემის დროს, სხვა ყოველგვარ თანასწორ პირობებში, უპირატესობა უნდა მიეცეს ადგილობრივ მიწის მუშათა ამხანაგობას, ხოლო შემდეგ — წარმოების ყოფილ პატრონს, რომელმაც გამართა ზემოხსენებული მოწყობილობანი.

6. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მისი საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებისა.

მეურნეობის კრიზისი

ბ-ნ გიორგი ბაგრატიონ-დავითიშვილის მეურნეობა

სატივე (გორის მაზრა). ყველას ახსოვს ის ფართე და ინტენსიური მოღვაწეობა საზოგადოებრივ ასპარეზზე თავად გიორგი ბაგრატიონ-დავითიშვილისა, რომელსაც ის ეწეოდა ქართლ-კახეთის მარშლობის დროს და რომლის ნაყოფათ ხელთ შეგვრჩა კახეთის რკინის-გზა, ელექტრონის სადგური, საადგილ მამულო კომისიის ნამუშევარი და მრავალი სხვა.

1911 წელს, მარშლობიდან გადადგომის შემდეგ, იგი უბრუნდება სოფელს და თავის გატაცებითა და შრომის მოყვარეულობით ჰკიდებს ხელს სოფლის მეურნეობას.

ნაცვლათ გაყიდულ 600 დღიურ სალალე მამულისა იგი იძენს 200 დღიურს საუკეთესო მიწას და უმატებს იმ 100 დღიურს, რომელიც აკრავს მის კარდამს (უსადბა), მდებარეს სოფ. სატივეს მიდამოში.

გამოიყვანა არხები მდინარე სურამულიდან და ამ რიგათ შესაძლოთ გახადა მაღალ კულტურის წარმოება.

100 დღიური მიწა შემოარაგვა ეკლიან მავთულით და შიგ ცოცხალი ღობე ახარა.

გადაბრუნებულ მიწაში გააშენა 12 დღიური ნამყენი ვენახი, 4 დღიური საუკეთესო ევროპულ ხეხილი და 2 დღიური საკუთრივ შავი მოცხარი.

ამ რიგათ, ხორბლის რაიონში, მან მაღალ კულტურის პიონერობა იკისრა და ამისათვის არავითარ ხარჯს არ ერიდებოდა.

უწისქვილო ქვეყანაში დადგა მოტორიანი წისქვილი და მის გარშემო წვრილ-ფეხის ფართეთ გაშენებას ეპირებოდა.

მან, სხვათა შორის მგონი პირველმა, კულტურულ ბალახეულობის ფართეთ წარმოება სცადა და ამ მიზნით 50 დღიურამდე იონჯა, სამყურა და სხვა კულტურული ბალახეულობა დასთესა.

არა ნაკლები ადგილი ეკავა მის მეურნეობაში მებოსტნეობას, სახელდობრ — კარტოფილს, რომელსაც უთმობდა 30 დღიურამდე და რომელიც იძლეოდა 15000 ფუთამდე კარტოფილს.

როგორც მემამულე თავადი გიორგი ბაგრატიონ დავითიშვილი ცნობილი იყო თვისი ხასიათით მაგალითი არ ყოფილა, რომ მას ღალა გამოერთმიოს ნასეტყვია ან სხვაფრივ დაზარალებულის კაცისათვის; ამისდა მიუხედავათ მას დიდ ძალი შემოსავალი ჰქონდა — წელიწადში არა ნაკლებ 8000 ფუთ ხორბეულობისა, რომელსაც ჰყიდდა და მთლათ მეურნეობას ახმარებდა.

ამ მხრივ მას დიდი და ფართე პლანები ჰქონდა განზრახული.

იგი ფიქრობდა ყველა სალალე მიწების გაყიდვას და [illegible] მეურნეობაში დაბანდებას, მაგრამ შემდეგმა ამბებმა ყოველივე [illegible].

სხვათა შორის, [illegible] მუდამ დაბარებული ჰქონდა, რომ საჭიროების დროს მათ ფული სარგებლით არავისთვის გამოერთმიათ.

გაჭირვებულ ხალხისათვის გიორგის მუდამ ჰქონდა გომის სინდიკატში სამასოთხასი თუმანი დატოვებული, რათა მათ ამ ფულით უპროცენტოთ ხელი მოენაცვლათ.

მანვე გამოუყვანა სატიველებს წყაროს წყალი მილებით.

მის მამის მიერ აშენებულ ეკლესიის გალავნის შემორტყმა დაიპირა, მაგრამ არ დასცალდა.

ამა წლის გაზაფხულს ბრბომ მთლათ მოსპო მისი ნაღვაწი.

ხსენებული მავთულის ღობე ახსნილ და გატაცებულ იქმნა, ცოცხალი ღობე გადაქელილი, ხოლო ბაღისა და ვენახის ადგილს დღეს სოფლის ნახირი დაიარება.

ი.

ჩვენს კორესპონდენტებს

რედაქცია სთხოვს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოფლის მეურნეობის კრიზისს და აგრარულ რეფორმის განხორციელებას.

რედაქტორი: გრიგოლ ვეშაპელი.

,,კლდის“ ბიბლიოთეკა:
დაიბეჭდება ნაწერები:
გრიგოლ ვეშაპელის
,,ნაციონალ-დემოკრატიული პარტია“-
დავით ვაჩნაძის
,,მუდმივი ჯარი თუ სახალხო მილიცია,,-
მიხეილ მაჩაბელის
,,მიწის საკითხი“
თითო წიგნის ფასი 15 შაური.
წიგნების საწყობი: „კლდის“ კონტორაში

საქართველოს მეურნეთა და მიწის მესაკუთრეთა კავშირის საბჭო

ამით აცხადებს, რომ ყოველნაირი ცნობების მიღება და კავშირში წევრად ჩაწერა შეიძლება შემდეგის მისამართით: ბარიატინსკის დაღმართი № 5. სამეურნეო საზოგადოების შენობაში. მუდამ დღე 11—1 საათამდე, კვირა უქმის გარდა.

ქართული ლატარიის პირობანი:

1. გამოცემულია ორასი ათასი ბილეთი, ხუთი მილიონი მან. ღირებულობისა, ოთხას სერიად. ყოველ სერიაში ხუთასი ბილეთია. თითო ბილეთში ხუთი კუპონია. ბილეთი ოცდახუთი მ ნ. ღირს. კუპონი ხუთი მან.

2 მოგების დასაფარავად გადადებულია ნახევარი მილიონი მანეთი, და მოგებათა რაოდენობა ნაწილდება ამ გვარად.

1	მოგება	100.000 მან.	100.000 მან.
1	„	50.000 „	50.000 „
1	„	25.000 „	25.000 „
2	„	10.000 „	20.000 „
3	„	5.000 „	15.000 „
5	„	1.000 „	5.000 „
50	„	500 „	25.000 „
180	„	250 „	45.000 „
2150	„	100 „	215.000 „

სულ 2393 მომგები ბილეთი 5000.000 მ.

3. ბილეთის ან კუპონის პატრონი ის არის, ვისაც ბილეთი ან კუპონი ხელთ აქვს. არავითარი განცხადება ბილეთის ან კუპონის დაკარგვის შესახებ შეწყნარებული არ იქნება.

4. ლატარია გათამაშებული იქნება 25 დეკემბერს 1918 წ. და დაესწრებიან წარმომადგენელნი: საქართველოს ეროვნული საბჭოსი, უმაღლესი მთავრობისა, ტფილისის ქალაქის თვითმმართველობისა, ერობისა, სახელმწიფო და ამიერ-კავკასიის ბანკებისა; ლატარიის მომწყობი საბჭო და გამგეობა.

5 მოგების ნუსხა გამოცხადებული იქნება გაზეთებში. ამის შემდეგ მოგების მისაღებად უნდა წარმოადგინონ ამიერ-კავკასიის ბანკში, ტფილისში, თავიანთი ბილეთები ან კუპონები მეპატრონეებმა; ხვედრ მოგებას მიიღებენ არა უგვიანეს 30 დღისა.

6. ვინც მოგების ნუსხის გამოცხადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში არ წარმოადგენს თავის მომგებიან ბილეთს ან კუპონს, მისი ხვედრი მოგება შემოწირულებად ჩაითვლება.

ახლად მოწყობილი სტამბა
„ხელოვნება“
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს.
ველიამინოვის ქ. № 20. (ყოფილი სტამბა ობორონი).

ექიმი დ. ჯავახიშვილი
მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ.
ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა № 41.
ტელეფ. № 14—09.